მოგების გადასახადის ესტონური მოდელის დანერგვის მოსალოდნელი შედეგები ქართულ ბიზნეს სექტორში

ნათია იაშვილი

მურმან ვერულაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან ნადირაშვილი, დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია იაშვილი

მურმან ვერულაშვილი

26.06.2017

აბსტრაქტი

მსოფლიო ეკონომიკური ბაზარი ვითარდება დინამიურად. საჭიროა ინტენსიური მუშაობა, რათა არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო განვითარების დონეს. საქართველოში არსებულ ეკონომიკური გარემოსათვის გარდაუვალი იყო ცვლილებების განხორციელება საგადასახადო სისტემაში, რადგან იგი ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ფაქტორია.

მოგების გადასახადის ესტონური მოდელი მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული და საუკეთესო მოდელია საგადასახადო სისტემაში. აღნიშნული მოდელი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის ეკონომიკისა და მშპ-ის ზრდაზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვაზე. ესტონური მოდელის მთავარი შარმია წმინდა მოგების რეინვესტირების საშუალება დაბეგვრის გარეშე, რაც ბიზნესის ზრდისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. ლიბერალური საგადასახადო სისტემა ცალსახად მოქმედებს საბიუჯეტო შემოსავლებზე, აღნიშნული მოდელი გარანტორის ფუნქციას ითავსებს, რომ ბიუჯეტი არ განიცდის დანაკლისს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეინვესტირება, საგადასახადო სისტემა, მშპ, ინვესტიციები, ბიუჯეტი.

მადლობა

მადლობას ვუხდით ხელმძღვანელს, ქეთევან ნადირაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია სამაგისტრო თემის ფორმულირებასა და სწორი მიმართულების განსაზღვრაში, ქ.ნი ქეთევანის მიერ მოწოდებული რეკომედაციები მნიშვნელოვანი და გამოსადეგი იყო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მსვლელობისას.